



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №07-01/47

კოდიფიცირებული

ქ. ბათუმი

22 ნოემბერი, 2019 წელი

ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 20 ნოემბრის N1587446 სამსახურებრივი ბარათის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის N07-01/46 გადაწყვეტილების საფუძველზე წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. დამტკიცდეს თანდართული „ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესი“ (დანართი 1).
2. ეთხოვოს ბსუ-ს რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები წინამდებარე გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესის ინგლისურ ენაზე თარგმნისა და ბსუ-ს ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მისი გაცნობის უზრუნველყოფისათვის.
3. წინამდებარე წესი და მისი ინგლისურენოვანი თარგმანი გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში „საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“, ინგლისურენოვან ვებგვერდზე და „სტუდენტის გზამკვლევი“).
3. გადაწყვეტილება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურის და სპორტის დეპარტამენტს,

საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს,
იურიდიულ დეპარტამენტს და სასწავლო პროცესის დეპარტამენტს.

4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი

დ. ბარათაშვილი

ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში „ბსუ“ ან „უნივერსიტეტი“) უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის (შემდეგში „პროგრამა“) სტუდენტის (შემდეგში „სტუდენტი“) სწავლის საფასურის გადახდის საფუძველს, პერიოდულობას და გადაუხდელობის სამართლებრივ შედეგებს.
2. ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის წლიური საფასურის ოდენობა (ტარიფი) განისაზღვრება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით და აისახება ბსუ-ს პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოსილებულ პირთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში.
3. ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის (სასწავლო წლის დაწყების, დასრულების და სხვა) ვადები, შემდეგში „აკადემიური კალენდარი“, განისაზღვრება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით ან ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე, რომელიც ქვეყნდება ბსუ-ს ვებგვერდზე (www.bsu.edu.ge).
4. ბსუ-ს რექტორი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილი არიან გამოსცენ სამართლებრივი აქტები ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის და აღდგენის (სასწავლო პროცესში დაბრუნების) თაობაზე, გააფორმონ სტუდენტთან ხელშეკრულება/შეთანხმება, შეიტანონ ცვლილებები მათში, გააფორმონ საგანმანათლებლო სფეროში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს წესდების, ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და წინამდებარე წესის გათვალისწინებით.

მუხლი 2. სწავლის საფასურის გადახდის საფუძველი და ფორმა

1. სწავლის წლიური საფასურის გადახდის საფუძველია ბსუ-ს პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოსილებულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება და ამ პირის ბსუ-ს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება (ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის წარმოშობა).

2. პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდა (სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა) ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების სახით, ბსუ-ს საბანკო რეკვიზიტებზე (განთავსებულია ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე, საკონტაქტო მონაცემებში).

3. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით უცხოურ ვალუტაში დადგენილი სწავლის საფასური შესაძლებელია გადახდილი იქნეს, როგორც უცხოურ ვალუტაში, ისე ეროვნულ ვალუტაში, საფასურის გადახდის დღეს მოქმედი ეროვნული ვალუტის კურსით.

4. სტუდენტისათვის შესაბამისი სასწავლო წლის წლიური საფასურის (დამატებით/განმეორებით სასწავლო კურსების გავლის საფასური) დარიცხვა ხორციელდება შესაბამისი სასწავლო წლის დაწყების დღეს მოქმედი ეროვნული ვალუტის კურსით.

მუხლი 3. სწავლის საფასურის გადახდის (ადმინისტრაციული რეგისტრაციის) პერიოდულობა

1. პროგრამაზე სწავლის პირველი სასწავლო წლის საფასური გადახდილი უნდა იქნეს უცხოელი აბიტურიენტის ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ბსუ-ს პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მოპოვების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 10 თვის ვადაში, ამ პირსა და ბსუ-ს შორის ხელშეკრულების გაფორმებისთანავე.

2. ბსუ-ში სწავლის ყოველი მომდევნო სასწავლო წლის საფასური, როგორც წესი, გადახდილი უნდა იქნეს (ადმინისტრაციული რეგისტრაცია გავლილი უნდა იქნეს) სასწავლო წლის დასრულებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე 2 კვირით ადრე (თუკი ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, სტუდენტთა მოზიდვის შესახებ შესაბამის კომპანიასთან გაფორმებული მემორანდუმით ან სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით სხვა ვადა არ არის გათვალისწინებული).

მუხლი 4. სტუდენტის აკადემიური რეგისტრაცია და სასწავლო კურსის საფასური

1. სტუდენტი, როგორც წესი, სასწავლო წლის/სემესტრის დასრულებისთანავე არეგისტრირებს მომდევნო სემესტრში გასავლელ სასწავლო კურსებს (გაივლის აკადემიურ რეგისტრაციას). რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილება დასაშვებია ახალი სასწავლო წლის/სემესტრის დაწყებამდე 2 კვირის ვადაში.

2. სტუდენტის აკადემიური რეგისტრაციის პროცესი რეგულირდება წინამდებარე მუხლით, ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით ან/და აკადემიური/ადმინისტრაციული რეგისტრაციის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.

3. სასწავლო გეგმის მიხედვით, როგორც წესი, გათვალისწინებულია 30 კრედიტის ათვისება. ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით დადგენილ შემთხვევებში დასაშვებია სასწავლო წლის განმავლობაში არაუმეტეს 75 კრედიტის ათვისება. იმ შემთხვევაში, როცა სტუდენტს დარეგისტრირებული აქვს პროგრამის სასწავლო გეგმით შესაბამისი სემესტრისათვის გათვალისწინებულზე მეტი

ოდენობით სასწავლო კურსები (კრედიტები), სტუდენტი სწავლის საფასურს იხდის დარეგისტრირებული სასწავლო კურსების მოცულობის (კრედიტების) შესაბამისად.

4. მიმდინარე სემესტრში პროგრამით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული ოდენობით სასწავლო კურსების (მოცულობა - კრედიტებში) დარეგისტრირება დასაშვებია შემდეგ შემთხვევებში:

ა) პროგრამის სასწავლო გეგმით მიმდინარე სემესტრით გათვალისწინებული სასწავლო კურსის წინაპირობა არის რომელიმე სხვა სასწავლო კურსი, რომელშიც სტუდენტს აქვს უარყოფითი შეფასება („F-ჩაიჭრა“), რის გამოც ესაჭიროება სასწავლო კურსის განმეორებით გავლა (ე.წ. „კურსის გავლა“);

ბ) სტატუსის შეჩერების შემდეგ სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესაბამის სემესტრში მიმდინარე სასწავლო კურსების გავლის ვალდებულება სტუდენტს არ აქვს;

გ) ერთი სასწავლო წლის განმავლობაში ასათვისებელი კრედიტების ზღვრული ოდენობის (75 კრედიტის) ფარგლებში სტუდენტს სურს შეფასების გაუმჯობესების მიზნით განმეორებით დაარეგისტრიროს სასწავლო კურსი ან/და დამატებით - სხვა სასწავლო კურსი.

5. სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაციის შესახებ დამუშავებული ინფორმაცია, აკადემიური რეგისტრაციის (ან/და ცვლილებების რეგისტრაციის) დასრულებიდან 5 სამუშაო დღეში, ფაკულტეტების დეკანის მიერ წარედგინება ბსუ-ს რექტორს/ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სტუდენტთა სწავლის საფასურის დარიცხვის პროცესის საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური დავალიანების მქონე პირთათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების პროცედურების წარმართვის მიზნით.

6. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული განმეორებით/დამატებით გასავლელი სასწავლო კურსების სწავლის საფასური გამოითვლება სასწავლო კურსის შესაბამისი კრედიტების რაოდენობის მიხედვით, შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის წლიური საფასურის პროპორციულად (მაგალითად: თუკი სწავლის წლიური საფასურია 4 000 აშშ დოლარი, ერთი კრედიტის საფასური იქნება $(4000 : 60 \text{ კრედიტზე}) = 66,66$ აშშ დოლარი).

მუხლი 5. სტუდენტის სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა და ფინანსური ვალდებულება

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის საფუძვლები განისაზღვრება ბსუ-ს წესდებით, ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესითა, წინამდებარე წესითა და სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

2. წინამდებარე წესის მიზნებისათვის სტუდენტს შეუჩერდება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი და არ დაერიცხება მომდევნო სასწავლო წლის საფასური (დავალიანება), თუკი:

ა) პირადი განცხადებით მოითხოვს მომდევნო სასწავლო წლიდან შეუჩერდეს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი (განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნეს მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს ან არაუგვიანეს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე 2 კვირისა);

ბ) არ გაივლის მომდევნო სასწავლო წლის/სემესტრის აკადემიურ რეგისტრაციას მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს ან არაუგვიანეს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე 2 კვირისა);

გ) არ გაივლის მომდევნო სასწავლო წლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას დადგენილ ვადაში (წინამდებარე წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვადა).

3. სტუდენტს შეუჩერდება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი, მაგრამ დაერიცხება შესაბამისი სასწავლო წლის საფასური (დავალიანება), თუკი:

ა) გაიარა აკადემიური რეგისტრაცია და ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ვადებში არ მოუთხოვია წერილობით ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერება;

ბ) დადგენილ ვადებში გაივლის აკადემიურ რეგისტრაციას, მაგრამ არ გადაიხდის შესაბამისი სასწავლო წლის საფასურს სრულად (არ გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას).

4. სტუდენტს, რომელსაც შეუწყდება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი, არ დაუბრუნდება უკვე გადახდილი (მის ან მესამე პირის მიერ გადახდილი) გასული სასწავლო წლის და მიმდინარე სასწავლო წლის სწავლის საფასური.

5. სტუდენტს დაუბრუნდება წინასწარ გადახდილი სწავლის საფასური, თუკი წერილობით მოითხოვს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას არაუგვიანეს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე 2 კვირით ადრე.

6. ბსუ-ს სტუდენტის სტატუსშეჩერებული პირი, რომელსაც ამ წესის მიხედვით დარიცხული აქვს სწავლის საფასური (დავალიანება), ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში ვალდებულია გადაიხადოს მასზე დარიცხული ფინანსური დავალიანება იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მას სტატუსის შეჩერების გამო არ მიეცა შესაბამის სემესტრში გამოცდების ჩაბარების შესაძლებლობა ან/და მისგან გამოწვეული მიზეზით არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სწავლასთან დაკავშირებით.

7. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებში უწყვეტად სწავლის პერიოდში სტუდენტს უნარჩუნდება ხელშეკრულებაში აღნიშნული სწავლის საფასურის ოდენობა (ტარიფი). სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლების აღმოფხვრისა და სტუდენტის სასწავლო პროცესში დაბრუნების შემდეგ სტუდენტთან ფორმდება ახალი ხელშეკრულება და შესაძლებელია განსაზღვრული იქნეს გაზრდილი ოდენობით სწავლის წლიური საფასური (ტარიფი).

8. ფინანსური დავალიანების გამო სტატუსშეჩერებული პირის (ვისაც დარიცხული აქვს სწავლის საფასური) სტუდენტის უფლებებში აღდგენა (სტუდენტის სტატუსის შეჩერების აქტის ძალადაკარგულად ცნობა) დასაშვებია ფინანსური დავალიანების დაფარვის შემდეგ, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილი წესით.

9. დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტის სტატუსის აღდგენა (მისთვის სტუდენტის შეჩერების შესახებ ბრძანების ძალადაკარგულად ცნობა), რომელმაც სრულად შეასრულა შესაბამისი პროგრამის მოთხოვნები, დასაშვებია შიდა მობილობის პროცედურების გარეშე, თუკი სტუდენტი დაფარავს ფინანსურ

დავალიანებას და წარმოადგენს წერილობით მოთხოვნას მისთვის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით.

10. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, გასული სასწავლო წლის ან/და დამატებითი სასწავლო წლის/სემესტრის ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტს უწყდება სტუდენტის სტატუსი და იგი ვალდებულია ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში დაფაროს დარიცხული სწავლის საფასური.

მუხლი 6. სწავლის საფასურის გადაუხდელობის შედეგი

1. სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით, რექტორის ბრძანებით ან/და აკადემიური საბჭოს დადგენილებით განსაზღვრულ ვადაში ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის - სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, სტუდენტს შეუჩერდება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი.

2. შესაძლებელია ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების აქტის გამოცემის გადავადება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ვიზირებით გამოცემული ბსუ-ს რექტორის ბრძანებით. ამ ბრძანების გამოცემის საფუძველია სტუდენტსა და უნივერსიტეტს (რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით) შორის გაფორმებული „შეთანხმება“ სტუდენტის მიერ სწავლის საფასურის გადახდის განწილვადების თაობაზე. აღნიშნული შეთანხმების გაფორმების მოთხოვნით სტუდენტი უფლებამოსილია წარმოადგინოს წერილობითი განცხადება სტატუსის შეჩერების თაობაზე ბსუ-ს რექტორის აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში.

3. ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტზე გაიცემა ინფორმაცია (ცნობა/სასწავლო ბარათი, ასევე მის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაცია) იმ შემთხვევაში, თუკი განაცხადებს თანხმობას ფინანსური ვალდებულების შესრულებისათვის და გაფორმდება „შეთანხმება“ სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის.

მუხლი 7. 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრამდე ჩარიცხული სტუდენტების სწავლის საფასურის გადახდის რეგულაცია

1. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო (ინგლისურენოვან) პროგრამაზე 2015 წლიდან 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრამდე ჩარიცხული სტუდენტების (ე.წ. „შვიდი ნაკადის“ სახით ჩარიცხული პირები) 2019-2020 სასწავლო წლის მდგომარეობით სტუდენტთა სწავლის საფასურის დავალიანების დაფარვის მიზნით განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

ა) ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოიცეს ბსუ-ს რექტორის ბრძანება ბსუ-ში სწავლის საფასურის, მათ შორის 2019-2020 სასწავლო წლის, დავალიანების მქონე ბსუ-ს სტუდენტთათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ;

ბ) ადმინისტრაციული წარმოების პროცესში სტუდენტის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტსა და უნივერსიტეტს (რექტორის და ადმინისტრაციის ხელმოწერით) შორის გაფორმდეს წერილობითი შეთანხმება 2019-2020 სასწავლო წლის დაწყებამდე არსებული სწავლის ფინანსური დავალიანების (წლიური - 3300 აშშ დოლარის) განწილვადებით დაფარვის თაობაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ადმინისტრაციული წარმოების პროცესში - არაუგვიანეს 2019 წლის 15 დეკემბრისა გადახდილი იქნება მისი ბსუ-ში სწავლის საფასური, მაგრამ არანაკლებ 2019-2020 სასწავლო წლის საფასური - 3 300 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში (ბსუ-ში სწავლის 2019-2020 სასწავლო წლის საფასურის - 3 300 აშშ დოლარის დარიცხვა განხორციელდეს შემოდგომის სემესტრის დაწყების - 2019 წლის 28 ოქტომბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ვალუტის (ლარის) კურსის გათვალისწინებით).

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული „შეთანხმების“ გაფორმების შემთხვევაში, შეჩერდეს ამ სტუდენტის მიმართ დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება, სწავლის საფასურის გადახდისათვის „შეთანხმებით“ გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე;

დ) 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრამდე ჩარიცხული სტუდენტების სწავლის საფასურის გადახდის მიზნებისათვის (რეგულაციისათვის), ბსუ-ს რექტორმა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, გამოსცენ სამართლებრივი აქტები სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებით (მათ შორის განსაზღვრონ ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადები, გააფორმონ სტუდენტებთან ახალი ხელშეკრულებები/შეთანხმებები, შეიტანონ ცვლილებები მათში, მიიღონ კანონშესაბამისი გადაწყვეტილებები, აწარმოონ წერილობითი კომუნიკაცია/მოლაპარაკებები ამ მუხლით გათვალისწინებული კატეგორიის სტუდენტთა მოზიდვის მიზნით 2015-2017 წლებში ბსუ-სთან გაფორმებული საგანმანათლებლო თანამშრომლობის მემორანდუმიდან გამომდინარე უნივერსიტეტის უფლება-ვალდებულებების შესრულების მიზნით და განახორციელონ სხვადასხვა ღონისძიებები, რასაც არ ითვალისწინებს წინამდებარე წესი, თუმცა დასაშვებია კანონმდებლობით და ემსახურება სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების მიზანს).

ე) **2019-2020 სასწავლო წლის** ფინანსური დავალიანების მქონე ბსუ-ს სტუდენტისათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა შესაძლებელია ბსუ-ს რექტორის ბრძანებით გახანგრძლივდეს არაუგვიანეს **2020 წლის 16 იანვრისა**, თუკი სტუდენტს გადახდილი იქნება სწავლის წლიური საფასურის ნახევარი მაინც; *(დამატება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 17 დეკემბრის N07-01/60 გადაწყვეტილებით)*

ვ) **2019-2020 სასწავლო წლის** ფინანსური დავალიანების მქონე ბსუ-ს სტუდენტისათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში გამოცემული **ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემიდან 10 კალენდარულ დღეში** სტუდენტის ფინანსური დავალიანების დაფარვის შემთხვევაში

ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ამ სტუდენტის ნაწილში ბსუ-ს რექტორის ბრძანება.
(დამატება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 17 დეკემბრის N07-01/60 გადაწყვეტილებით)

2. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის სტუდენტთა მიერ 2020 წლის გაზაფხულის სემესტრის დაწყებამდე (2020 წლის 23 მარტი) 2 (ორი) კვირის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2020 წლის 20 მარტისა განხორციელდეს: *(დამატება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 17 დეკემბრის N07-01/60 გადაწყვეტილებით)*

ა) აკადემიური რეგისტრაციისა (სასწავლო კურსების დარეგისტრირება) და ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა (სწავლის წლიური საფასურის - 3300 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა) - ბსუ-ში II ; V და VI ნაკადებზე ჩარიცხული პირების მიერ (ამ ნაკადების სტუდენტთათვის 2020-2021 სასწავლო წლის I სემესტრი);

ბ) მხოლოდ აკადემიური რეგისტრაციის (სასწავლო კურსების დარეგისტრირება) გავლა - ბსუ-ში I, III, IV და VII ნაკადებზე ჩარიცხული პირების მიერ (ამ ნაკადების სტუდენტთათვის 2019-2020 სასწავლო წლის II სემესტრი - გაზაფხულის სემესტრი).